



დამოუკიდებელი აუდიტი

ი.მ. „ზაირა გიორგაძე აუდიტორი“
საქართველო, ვანის
მუნიციპალიტეტი,
ქ. ვანი, თავისუფლების ქ. №63
ტელ: 555268031; 0(232)22855



I.E. „ZAIRA GIORGADZE
AUDITOR “ Georgia
city of Vani, Tavisupleba
st. №63 555268031; 0(232)22855

აუდიტის დასკვნა № 28

ქ. ვანი

19 ივლისი 2017 წ.

აუდიტორული მომსახურების ფირმა ი.მ. „აუდიტორი“-ს დირექტორმა და აუდიტორმა ზაირა გიორგაძემ (პარლამენტთან არსებული აუდიტორული საბჭოს 2010 წ. 4 ოქტომბერს გაცემული სერტიფიკატი №15/408 და პროფესიონალი ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის ასოცირებულმა წევრმა მოწმობა №8541) სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ რომანეთის საჯარო სკოლის დირექტორის გიორგი ხურციძის 2017 წლის 18 ივლისის MES71700847146 მომართვის და ურთიერთშორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის 17 ივლისის N28 გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად განვახორციელე სოფ. რომანეთის საჯარო სკოლის ავარიული სასწავლო კორპუსის ტექნიკური პირობების დადგენა და აუდიტორული შეფასება დღევანდელ დღეს მოქმედი საბაზრო ფასებიდან გამომდინარე.

მოვახდინე სასწავლო კორპუსის შემოწმება და დავადგინე შემდეგი:

შენობის ტექნიკური მდგომარეობა არის კრიტიკული, შენობა წარმოადგენს ორსართულიან ნაგებობას სამი შესასვლელით ერთი არის ცენტრალური და ორი სათაღარიგო შესასვლელი, ერთი სპორტული მოედნის მხრიდან, ხოლო მეორე არის საავარიო შესასვლელი დასახელებული სასკოლო კორპუსი აგებული იქნა 1974 წელს, ანუ 43 წლის წინ.

შენობა შემდეგ ზომებშია 9,5X 46 = 437 კვ.მ. თითოეული სართული ანუ სულ 874 კვ.მ. შენობას გააჩნია სარდაფი 1-1.5 მ. სიმაღლის, შენობის კედლები არის საკედლე ბლოკის, სართულშორისი გადახურვა მოხდენილია ღრუტანიანი რკინა-ბეტონის ფილებით, ფილებს აქვს რკინა-ბეტონის შემოსაკრავი ე.წ. სარტყელი. სახურავი არის ქანობიანი და დახურულია აზბოცემენტის შიფერით.

განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგად გაიხსნა შენობის ფუნდამენტი, ძირითადად ცენტრალური შესასვლელის მარჯვენა მხარეს. შესაბამისად მოხდა

სამირკველის არათანაბარი ჯდენები და შენობის მნიშვნელოვანი მოცულობითი დეფორმაცია, როგორც აღვნიშნე ძირითადი დაზიანება აქვს შენობის მარჯვენა ნაწილს, სადაც გაჩენილის დიდი გახსნილობის ვერტიკალური და დახრილი ბზარები, გაწყვეტილია რკინა-ბეტონის სარტყელის არმატურა. დერეფნებში იატაკი არის დახრილი. ღრუტანიანი ფილების ნაწილის არმატურა არის გაშიშვლებული და კოროზირებული.

სკოლის შენობის გამაგრება და გაძლიერება არის არარენტაბელური, შესაბამისად სასწავლო პროცესის გაგრძელება მოსწავლეთათვის არის საფრთხის შემცველი, რის გამოც შენობა ექვემდებარება დემონტაჟს შემდეგი თანმიმდევრობით:

- ა) სახურავის დემონტაჟი
- ბ) მე-2 სართულის დემონტაჟი
- გ) პირველი სართულის დემონტაჟი
- დ) სარდაფის დემონტაჟი.

ამის შემდგომ მოხდება სამშენებლო ნარჩენების გატანა და ასევე მეორადი გამოყენების გატანა-დასაწყობება.

ა) სახურავის დემონტაჟის შედეგად მეორადი გამოყენებისათვის სავარგისად მივიჩნიე აზოცემენტის ფილა (შიფერის სახურავი), სადაც გადახურული იყო კორპუსის სახურავი 437 კვ.მ. პლიუს 30% ანუ 568 კვ.მ. აქედან გამოსაყენებლად ვარგისია, მისი 10%, რაც თანხაში შეადგენს 70 (სამოცდაათი) ლარს. შენობაზე არსებული ხის მასალა არის საერთოდ უვარგისი და გამოსაყენებელია შეშად, რაც თანხობრივად შეადგენს 75 (სამოცდათხუთმეტი) ლარს.

ბ) მეორე სართულის დემონტაჟის შედეგად -შემდგომში გამოსაყენებლად ვარგისად ითვლება 19 ერთეული მეტალოპლასტმასის ფანჯარა, რომელიც დემონტაჟის შემდგომ შევაფასე ერთი ცალი 200 ლარად, სულ 19 ფანჯარის ღირებულება შეადგენს 3800 (სამიათასრვაასი) ლარს.

ღრუტანიანი ფილები, რომელიც დაწყობილია მეორე სართულსა და სახურავს შორის ასევე პირველსა და მეორე სართულს შორის მეორადი გამოყენებისათვის სავარგისია საერთო რაოდენობის 60%, ანუ სულ შენობაზე დაწყობილია 6X07-132 ცალი, 3X07-152 ცალი, და 5X07-8 ცალი. 132 ცალი ღრუტანიანი ფილა ერთი ცალი შევაფასე 60 ლარად, ანუ 132 ცალის ღირებულება შეადგენს 7920 (შვიდიათასცხრასოცი) ლარს.

3X07- ღრუტანიანი ფილას ერთი ცალის ღირებულება განვსაზღვრე 30 ლარად, ხოლო 152 ცალის ღირებულება შეადგენს 4560 (ოთხიათასხუთასსამოცი) ლარს, 5X07 ღრუტანიანი ფილას ერთი ცალის ღირებულება განვსაზღვრე 40 ლარით, ხოლო 8 ცალი ფილას ღირებულება იქნება 320 (სამასოცი) ლარი.

სულ შენობაზე არსებული ღრუტანიანი ფილები შეფასდა 12800 ლარად, აქედან ვარგისია მხოლოდ 60% ანუ 7680 (შვიდიათასექვსასოთხმოცი) ლარის ფილა. ხოლო 12800 ლარის 40% არის 5120 (ხუთიათასასოცოცი) ლარის, შემდგომი გამოყენებისათვის უვარგისი, რადგან არის გაშიშვლებული და კოროზირებული.

გ) პირველი სართულის დემონტაჟის შედეგად მეორადი გამოყენებისათვის ვარგისია 20 მეტალოპლასტმასის ფანჯარა, სადაც ერთი ცალის ღირებულება განვსაზღვრე 200 ლარით, ხოლო 20 ცალის ღირებულება შეადგენს 4000 (ოთხიათასი) ლარს.

შენობას აქვს სამი შესასვლელი და მისი რკინის კარები. თითოეული შევაფასე 220 (ორასოცი) ლარად, ანუ სულ 660 (ექვსასსამოცი) ლარად.

შენობაში კიბის თვლები აწყობილია შველერებზე, აქედან 2 ცალი 3 მეტრი სიგრძის 17-იანი, 2 ცალი 3 მეტრიანი 15-იანი, ასევე 2 ცალი 2,5 მეტრიანი 15-იანი, რომლის ღირებულებაც განვსაზღვრე 17-იანი სიგრძის მეტრი 17 ლარად 2 ც, 3 მეტრიანი, სულ 6 მეტრი 102 ლარი.

15-იანი 1 მეტრის ღირებულებაა 15 ლარი, სულ 11 მეტრი 165 ლარი, სულ შველერის ღირებულება შეადგენს 267 (ორასსამოცდაშვიდი) ლარს.

კიბის თვლები მეორადი გამოყენებისათვის სავარგისია სულ 20 ცალი 200 (ორასი) ლარის საერთო ღირებულებით.

დემონტაჟის შედეგად მეორადი გამოყენებისათვის მზიდი კედლებისა და ტიხრების წვრილი ბლოკი ვარგისი არ არის, რადგან კედლები არის გალესილი ორივე მხრივ, ასევე არის ექსპლოატაციაშია ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე.

ასევე სარდაფისა და სამირკველის დემონტაჟით მეორადი გამოყენებისათვის საამშენებლო მასალები არ არის.

დასკვნა:

სსიპ- ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ რომანეთის საჯარო სკოლის სასწავლო კორპუსი წარმოადგენს ავარიულ მოსწავლეთათვის საფრთხის შემცველ ნაგებობას, რის გამოც მიზანშეწონილია მისი დემონტაჟი. დემონტაჟის შედეგად მეორადი გამოყენებისათვის ვარგისი მასალებია:

1. სახურავი აზოცემენტის შიფერი 70 (სამოცდაათი) ლარის ღირებულების. 75 (სამოცდათხუთმეტი) ლარის შეშა.
2. მეორე სართულის დემონტაჟის შედეგად 19 ერთეული მეტალოპლასტმასის ფანჯრები ღირებულებით 3800 (სამიათასრვაასი) ლარი.

ღრუტანიანი ფილები 132 ცალი 6X07 7920 (შვიდიათასცხრასოცი) ლარის, ასევე 152 ცალი 3X07 4560 (ოთხიათასხუთასსამოცი) ლარი, 8 ცალი ფილა 5X07 თანხით 320 (სამასოცი) ლარი, სულ ღრუტანიანი ფილას ღირებულება შეადგენს 12800 ლარს ვარგისიანი არის საერთო რაოდენობის 60%, ანუ საბოლოოდ ღირებულება შეადგენს 7680 (შვიდიათასექვსასოთხმოცი) ლარს.

3. პირველი სართულის დემონტაჟის შედეგად მეორადი გამოყენებისათვის ვარგისი 20 ერთეული მეტალოპლასტმასის ფანჯარა თანხით 4000 (ოთხიათასი) ლარი, 3 ცალი რკინის კარები ღირებულებით 660 (ექვსასამოცი) ლარი.

კიბის თვლების ასაწყობად გამოყენებული შველერების ღირებულება შეადგენს 267 (ორასსამოცდაშვიდი) ლარს, კიბის თვლები ვარგისია 200 (ორასი) ლარის.

სულ მეორადი გამოყენებისათვის შენობის დემონტაჟის შედეგად სამშენებლო მასალების ღირებულება შეადგენს 16752 (თექვსმეტიათასშვიდასორმოცდათორმეტი) ლარს.

ზაირა გიორგაძე

დამოუკიდებელი აუდიტორი

